

ჩასმა, უნიფიკაცია და უნიფიკაციის ალგორითმი

ლალი ტიბუა

მოხსენებაში აგებულია \mathcal{T} -ლოგიკის ფორმულებისათვის უნიფიკაციის ალგორითმი. შემოტანილია ჩასმის, ჩასმათა კომპოზიციის, უნიფიკაციის, უნიფიკატორისა და უდიდესი საერთო უნიფიკატორის ცნებები. განსაზღვრულია ფორმათა არაცარიელი \mathbf{W} სიმრავლისათვის შეუთანხმებლობის სიმრავლე და დამტკიცებულია შემდეგი თეორემა.

თეორემა: თუ \mathbf{W} არის სასრული, არაცარიელი, უნიფიცირებადი ფორმათა სიმრავლე, მაშინ უნიფიკაციის ალგორითმი დაასრულებს მუშაობას მეორე ბიჯზე და საბოლოო σ_k იქნება უდიდესი საერთო უნიფიკატორი.